საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

PUBLIC LAW LEGAL ENTITY
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

№ 194/01-21/3

18 02 2015 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"-ს
დირექტორის მოადგილეს ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

თქვენი ა/წ 10 თებერვლის განცხადებით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე მშენებლობის ნებართვა გაიცა სსდ-ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს N67/01-06 ბრძანებით „ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე მშენებლობის ნებარათვის გაცემის შესახებ" (ასლი თან ერთვის). აღნიშნული ბრძანებით მშენებლობის ნებართვა ძალაში იყო 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2014 წლის 16 აპრილის N48/01-06 ბრძანებით „ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე მშენებლობის ნებრაათვის გაცემის შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს N67/01-06 ბრძანებასა და მის საფუძველზე გაცემულ მშენებლობის სანებართვო მოწმობა N218-ში ცვლილების შეტანის შესახებ" (ასლი თან ერთვის) ზემოაღნიშნულ ბრძანებაში შევიდა ცვლილება და მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მითითებული ობიექტი ექსპლუატაციაში არ არის მიღებული, ვინაიდან არ არის გასული მშენებლობის ნებართვის ვადა. რაც შეეხება ექსპლუატაციაში მიღების ვადებს, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, V კლასის შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში უნდა იყოს მიღებული მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან ერთი წლის ვადაში.

დანართი: 1. სსდ-ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს N67/01-06 ბრძანების ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. №8
ტელ.: (+995 32) 293-27-32, ფაქსი: (+995 32) 293-27-32.
Web: www.TACSA.gov.ge
ს/კ 202466991

8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
E-mail: tacsa@economy.ge

მშენებლობის ნებარათვის გაცემის შესახებ“ დამოწმებული ასლი - 2 ფურცელი;

2. სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2014 წლის 16 აპრილის N48/01-06 ბრძანების „ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს N67/01-06 ბრძანებასა და მის საფუძველზე გაცემულ მშენებლობის სანებართვი მოწმობა N218-ში ცვლილების შეტანის შესახებ“ დამოწმებული ასლი - 1 ფურცელი;

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსი გრიგოლ კაკაურიძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია

STATE SUBDIVISION TECHNICAL AND CONSTRUCTION INSPECTION

ბრძანება № 67/01-06

თბილისი 03 08 2012 წ.

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 63-ე მუხლის მე-2 და მე-4 შესაბამისად და 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმებულ იქნას ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომი, ტერმინალის შენობა და დამხმარე შენობა-ნაგებობები) პროექტი, წყალტუბოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.
2. გაიცეს ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე (აეროდრომი, ტერმინალის შენობა და დამხმარე შენობა-ნაგებობები) მშენებლობის ნებართვა, წყალტუბოს და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.
3. გაიწეროს მშენებლობის განხორციელების შემდეგი ეტაპები:

I - ტერმინალის შენობისათვის

ა) ძირითადი რიგის სამუშაოები:
ა.ა) ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
ა.ბ)სახურავისა და გადახურვის მოწყობა;
ა.გ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
ა.დ) ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო- კომუნალური ქსელების მოწყობა;
ა.ე) ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;
ა.ვ) კეთილმოწყობის სამუშაოები.

II - აეროდრომისათვის

ა) ძირითადი რიგის სამუშაოები:
ა.ა) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა
ა.ბ) ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მოწყობა;
ა.გ) კეთილმოწყობის სამუშაოები.

0108, თბილისი, ჭ. ჭანტურიას ქ. №12
ტელ.: (+995 32) 293-27-32, ფაქსი: (+995 32) 293-27-32
Web: www.economy.gov.ge

12, Chanturia Str. 0108 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
E-mail: tci@economy.ge

[illegible]მოსამზადებელი რიგის სამუშაოები:
[illegible]ა.ა) გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

ბ) ძირითადი რიგის სამუშაოები:
ბ.ა) მიწის სამუშაოები;
ბ.ბ) ფუძის მოწყობის სამუშაოები;
ბ.გ) საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობ. ნულოვან ნიშნულამდე;
ბ.ე) ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
ბ.ვ) სახურავისა და გადახურვის მოწყობა;
ბ.ზ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
ბ.თ) ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მოწყობა;
ბ.ი) ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი;
ბ.კ) კეთილმოწყობის სამუშაოები.

4. ნებართვის მფლობელი ვალდებულია მშენებლობის სათანადო ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი ოქმი წერილობითი სახით წარმოადგინოს სსდ ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციაში.

5. მშენებლობის ნებართვა ძალაშია 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით.

6. გრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12).

7. გრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი:

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"-ს მიერ წარმოდგენილი განცხადება (09.07.2012წ. №433 (10.07.2012წ №828/01-21/შ) და თანდართული დოკუმენტაცია.
2. სსდ ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის გაწსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების სამმართველოს უფროსის გიორგი ბარქაიას მოხსენებითი ბარათი.

ასტამურ აჩბა

ინსპექციის უფროსის მოადგილე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

PUBLIC LAW LEGAL ENTITY
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION AGENCY

ბრძანება № 48/01-06

თბილისი

16 04 2014 წ.

„ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს №67/01-06 ბრძანებასა და მის საფუძველზე გაცემულ მშენებლობის სანებართვო მოწმობა №218-ში ცვლილების შეტანის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 200 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 57-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 59-ე მუხლის შესაბამისად დ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარები სამინისტროს სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს №67/01-0 ბრძანების მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „5. მშენებლობის ნებართვა ძალაშია 2015 წლის 31 მარტამდე".

2. შეტანილ იქნას ცვლილება „ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტზ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარები სამინისტროს სსდ - ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსის 2012 წლის 3 აგვისტოს №67/01-0 ბრძანებასა და მის საფუძველზე გაცემულ მშენებლობის სანებართვო მოწმობა №218-ში და ნებართვი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 31 მარტამდე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12)

4. ბრძანება ძალაში შედის მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

საფუძველი: 1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"-ს (25.03.2014წ. №227) წერილი)
2. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების სამმართველოს უფროსის თენგიზ კოდუას მოხსენებითი ბარათი.

სააგენტოს უფროსი **გრიგოლ კაკაურიძე**

0108, თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №12
ტელ.: (+995 32) 293-27-32, ფაქსი: (+995 32) 293-27-32.
Web: www.TACSA.gov.ge
ს/კ 202466991

12 Chanturia Str. 0108 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-
E-mail: tci@economy.ge

GRASS
ადამიანის პოლიტიკური ...რეფორმების ასოციაცია"
№ 43
10 02 2015

GRASS FACTCHECK

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40-ე მუხლით დადგენილ ვადაში გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- გაცემული აქვს თუ არა ნებართვა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე (ქუთაისის მე-100 კმ.)?
- მიღებული აქვს თუ არა ექსპლუატაციაში სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საქართველოს ქუთაისის აეროპორტის შენობა და რა ვადებია დადგენილი აღნიშნული შენობის ექსპლუატაციის მისაღებად (ქუთაისის მე-100 კმ.)?

პატივისცემით,
პაატა გაფრინდაშვილი,

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორის მოადგილე

მისამართი:

თბილისი, მიცკევიჩის ქ. #27

საკონტაქტო პირი:

ნოდარ ჩაჩანიძე

მობ: 595 488 112

e-mail: nodar.chachanidze@gmail.com

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
შემოსულია № 194/01-2/7
12 02 2015

05/02-04
12.02.15